# ცნობის ფურცელი

V Წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— შაბათი, 1 იანვარი 1900 წ. № 1003.

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროსოვისა.—ხელთნაწერილი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

ტელეფონი № 372 — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели"—„Моамбэ"



შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა" გამოვა 3 იანვარს

„მოამბე" 1900 წ. „ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე) (წელიწადი მეხუთე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში — გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლ. | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში . . . | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში . . . . . | 13 მ. | 7 მ. | 5 მ, |

გაზეთის ფასი გაგზავნით:

| | 1 წლით | 1 თვით |
|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . | 6 მან. | 75 კაპ. |
| სამზღვარ გარეთის ქალაქებში. . . . . | 7 მან, | 90 კაპ. |

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. — პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

ვინც ორივე გამოცემას ერთად გამოიწერს შეღავათი მიეცემა

ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. — გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ-Пурцели".



ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან

კვირას, 2 იანვარს, 1900 წელს, შუადღის 12½ საათზე, ქართულ თავად-აზნაურთა თეატრში

ქართულ თეატრის 50 წლის არსებობის აღსანიშვნელად

შესდგება დრამატიულ საზოგადოების წევრთა

სადღესასწაულო საგანგებო

კრება

კრებას გარეშე პირებსაც შეუძლიანთ დაესწრონ. 3—3



ქართული თეატრი

კვირას, 2 იანვარს,

სახსოვრად 50 წლის ქართული თეატრის დაარსებისა

გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნება:

გაყრა

კომედია 4 მოქმედებად, თხზულება თ-დი გ. ერისთავისა

დასასრულ

სადღესასწაულო აპოთეოზი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ანტრაქტებში დაუკრავს ბ-ნი მაზნერის ორკესტრი და საზანდარი.

ადგილების ფასი მომატებულია.—დასაწყისი 8 საათზე.

ნ. (3—2) რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი


## მთავრობის განკარგულებანი

**უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას:**

ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად უწყალობა: წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენები გორის მ259—სარეზერვო სქვეითო პოლკის კაპიტანს თავად აბელ მაყაშვილს და კავკასიის საპიროთა ბატალიონის კაპიტანს თავად არ. ჩერქეზიშვილს.

**ბრძანება შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებას**

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მდივანს კოლეჟსკი სეკრეტარს გამრეკელს ებოძა ტიტულიარნი სოვეტნიკობა; ტფილისის საგუბერნიო მმართველობის საქმეთა განმგებელს ქიმს კოლეჟსკი სოვეტნიკს ტარსაიძეს ებოძა სტატსკი სოვეტნიკობა.

**ბრძანება ტფილისის საფოსტო უწყებას:**

დაინიშნება: აზნაური გასილ კანდელაკი, მოქალაქე ეფრემ გვეთაძე და სარდიონ დათიაშვილი და გლეხები: არჩილ ბალახაძე და ალექსანდრე მარგველაშვილი; მათგან გვეთაძე—სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელედ, დანარჩენები—ფოსტალიონებათ: კანდელაკი და მარგველაშვილი—ტფილისისა, დათიაშვილი—გორისა და ბალახაძე ყვირილის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში.

ნახიჩევანის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელე ივანე ომანიძე გადაყვანილ იქმნა მახარობლის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ალექსანდრე ნიჟარაძე, თავისის თხოვნის თანახმად, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

შულავერის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე იაკობ ჩუღაძე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, რადგანაც სამხედრო ბეგარის აღსასრულებლად იქმნა წაყვანილი.

# ახალი ამბავი

—

✦ **კავკასიის მთავარ-მართებელმა** სასარგებლოდ სცნო, რომ იმ კონტრაქტის პირველისა, მესამისა და მერვე მუხლების ძალით, რომლითაც მთავარ-მართებლის კანცელარია 1896 წელს 12 ნოემბერს შეეკრა ნადვ. სოვეტნიკს ველიჩკოს გაზეთ „კავკაზის" გამოცემის შესახებ, გაუქმებულ იქნას ამ წლის (1899) 30 დეკემბრიდან ამ კონტრაქტის ძალა, ხოლო გაზეთ „კავკაზის" გამოცემა დაევალოს მის ბრწყინვალების კანცელარიას, რომელსაც უნდა მიჰმართონ 31 დეკემბრიდან ყველა დაწესებულებათ და პირთ, თუ საქმე რამ ექნებათ გაზეთთან. ამასთანავე დროებით რედაქტორობის მოვალეობის აღსრულება მიენდო ტფილისის საგლეხო საქმეთა საბჭოს წევრს მ. მ. ტებენკოვს. („კავკაზი").

✦ **ხვალ, ორ იანვარს, სრულდება ორმოც და ათი წელიწადი** მას შემდეგ, რაც პირველად გაიმართა ქართული წარმოდგენა. ქართული დრამატიული საზოგადოება ამ ქართველებისათვის დიდმნიშვნელოვან დღეს დიდის ამბით დღესასწაულობს. ხვალ, შუადღის 12½ საათზე, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში, მოხდება სადღესასწაულო კრება როგორც საზოგადოების წევრთა, ისე გარეშე პირთა. კრებას, როგორც გავიგეთ, დიდძალი საზოგადოება ესწრება; სხვათა შორის—სხვა-დასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და პროვინციიდან ჩამოსულნიც. კრებაზე წაკითხული იქმნება: ბ. ნ. ავალიშვილის მოხსენება ქართული თეატრის დაარსებისა და მისი პირველი ხანის ისტორიიდან; ბ. პ. უმიკაშვილის მოხსენება ქართულ დრამატიულ და საზოგადო ლიტერატურის ისტორიიდან და მოხსენება ქართულ დრამატიულ საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ.

საღამოს თეატრში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა წარმოდგენილი იქმნება სწორედ ის პიესა (გ. ერისთვის კომედია „გაყრა"), რომელიც ამ 50 წლის წინად პირველად იქმნა ნათამაშევი ტფილისში. წარმოდგენა, როგორც გადმოგვცეს, მშვენივრად იქნება მოწყობილი. ბოლოს გაიმართება სადღესასწაულო აპოთეოზი იმ პირთა მოხსენებით, რომელთ წილი უდევთ ქართული სცენის დაარსებაში.

ჩვენის მხრით ულოცავთ ქართული სცენის ყველა მოღვაწეთ და საზოგადოდ ყველა ქართველთ ამ დიდს დღესასწაულს და ვუსურვებთ წარმატებას სამშობლო სცენასა და ხელოვნებას.

✦ **ახალქალაქიდან 29 დეკემბერს შემდეგ ამბებს იწერებიან:**

მაზრის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს გლეხები გამოიწვიოს მი-

წის ძვრისაგან დანგრეულ სოფლების გასაჩხრეკად.

დაზარალებულნი და უსახლ-კაროდ დარჩენილნი ყოველ დღე იგზავნებიან გარშემო სოფლებში, რომელნიც უვნებლივ დარჩნენ. დაჭრილთაგან ახალქალაქის სავადმყოფოში ოთხი კაცი გარდაიცვალა, სოფ. ბარალეთში—ორი. ერთ დაზარალებულ ოჯახში ყვავილი აღმოჩნდა, ამიტომ ყველა დაზარალებულთ ყვავილი აუცრეს, რათა სენი არ გავრცელდეს.

ადგილობრივ კომიტეტს ყოველ დღე საკმაო შემოწირულება მოსდის, როგორც ფულით, ისე ტანთსაცმელით.

ხანდისხან მიწა სუსტად იძვრის დღემდისაც.

◆ 30 დეკემბერს დ. ხონში დაკრძალეს გვამი უდროოდ გარდაცვალებულის ექიმის **გიორგი სპირიდონის ძის ქუთათელაძისა**. გარდაცვალებული 34 წლის კაცი იყო, კიევის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, 1886 წელს, გიორგი სპირიდონის ძე დაბინავდა თავის სამშობლო დაბაში, ხონში, და იქ ექიმობდა; შემდეგ გადავიდა დ. ზუგდიდს. რამდენიმე წლის შემდეგ ის დაინიშნა სოფ. ლაილაშის ქსენონის გამგეთ, ხოლო უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში განაგებდა ჩოხატაურის ქსენონს. გარდაცვალებული მეტად კარგი გულის პატრონი იყო და იშვიათის ყურადღებითა და სიყვარულით უვლიდა ავადმყოფთ, ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი—გლეხნი თუ თავადნი, მდიდარნი თუ ღატაკნი. ის არ ერიდებოდა არც ავდარს, არც დიდს მანძილს; ვისაც უნდა დაეძახნა, მსწრაფლ მიდიოდა საშველად. ამასთანავე იგი იშვიათი უანგარო კაცი იყო. ხშირად არა თუ შრომის ფასს არ იღებდა, არამედ პირიქით აძლევდა შეუძლებელ კაცს ფულს წამლების სასყიდლად. გიორგი სპირიდონის ძე მოკვდა თავის მოვალეობის გულ-მოდგინეთ აღსრულების გამო: ამას წინად რომ უბედურება შეემთხვა მატარებელს სუფსასა და ნატანებს შუა, გიორგი სპირიდონის ძე იქ გაჩნდა და დაუღალავად უვლიდა დაჭრილთ; დაღალულმა და დაქანცულმა ღამე გაათია იქვე, ცის ქვეშ, თითქმის ტალახში და გაცივდა. ავადმყოფი ჩაიყვანეს ქუთაისს, სადაც 25 დეკემბერს გარდაიცვალა.

დაუღალავ და პატიოსან მუშაკის დასაფლავებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ **ქალაქს დაენიშნოს** საეროვბო თანხიდან **შემწეობა** 68,851 მან. წელიწადში, ქალაქში მყოფ ჯარებისთვის სადგომების დასაქირავებლად, ტფილისის გუბერნატორმა ნ. ი. სვეჩინმა წარუდგინა მთავარ-მართებელს. თავის მხრით ნ. ი. სვეჩინმა დაასკვნა, რომ ის შესაძლებლად სთვლის ამ შუამდგომლობის აღსრულებას.

◆ დღეს, 1 იანვარს, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება **ქართული სახალხო წარმოდგენა**, წარმოდგენილი იქნება „არსენა“, დრამა მოჩხუბარიძისა. წარმოდგენის დაწყებამდე ნაჩვენები იქნება ბუნდოვანი სურათები ვილჰელმ ტელის ცხოვრებიდან.

◆ **ქართული საღამოები** პროვინციაში განზრახულია: ბათუმს—14 იანვარს, ბაქოს—29 იანვარს და განჯას—30 იანვარს

◆ ამ მოკლე ხანში თ. დ. ზ. ბარათაშვილის მამულში, ბორჩალოს მაზრაში, აღმოუჩენიათ, როგორც ჩვენ გვატყობინებენ, **სპილენძის** მდიდარი **მადნები**. როგორც ვუწყით, ბორჩალოს მაზრაში თ. ბარათაშვილს და სხვა მემამულეთაც აქვთ სხვა-და-სხვა ნაირი მადანი, მაგრამ გზების უქონლობის გამო ისინი უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი. ეხლა კი, უეჭველია, თ. ბარათაშვილი ისარგებლებს ყარსის რკინის გზით, რომელიც შუაგულ მის მამულებში გადის.

◆ ხუთშაბათს, 30 დეკემბერს, მოხდა **წლიური კრება საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა**. კრებამ მოისმინა შემდეგი მოხსენებები: 1) აგრონომის სიმონსონის—„ჩაის გაშენება დასავლეთ საქართველოში“, 2) ვ. პ. ივანოვისა—„გრენის უცხოეთში დამზადების და კავკასიაში შემოტანის შესახებ“. 3) განყოფილების 1899 წლის მოქმედების ანგარიში.

როგორც მოხსენებული ანგარიშიდან სჩანს, ხსენებული განყოფილება ხუთი წელიწადია, რაც არსებობს. საანგარიშო წელს განყოფილება შესდგება 228 ნამდვილი წევრისაგან, 16—საპატიო წევრისაგან და 68—კორესპონდენტისაგან. სულ 1899 წლის განმავლობაში განყოფილებას მოუხდენია ჩვიდმეტი კრება. გაუმართავს 12 საუბარი სხვა და სხვა კითხვების შესახებ, 4 კრება მეაბრეშუმეობის შესახება სხვა და სხვა ქალაქებში; 3 გამოფენა ბაღოსნობის ნაწარმოებისა, 18 გამოფენა-კონკურსები მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის ნაწარმოებისა. ამ გამოფენებზე მიიღეს მონაწილეობა სულ 1651 ექსპონატმა. გამოფენები დათვალიერებული იყო სულ 35,000 კაცისაგან, რომელთაც მიიღეს საჭირო ცნობები და დარიგებები. წლიური შემოსავალი იყო სულ 5,500 მან., გასავალი კი 5200 მ.; მიწად-მოქმედების სამინისტრომ განყოფილებას დახმარება გაუწია მენდლებით და 1,500 მ. ფულით.

◆ კავკასიის მეურნეობის ინსპექტორი ვ, ნ. გეევსკი არჩეულ იქმნა კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების **საპატიო წევრად**.

◆ ოზურგეთიდან გვწერენ, რომ 5 დეკემბერს იქაურ სცენის მოყვარეთაგან, ადგილობრივი ბიბლიოთეკის და სცენის სასარგებლოდ, საქალებო სკოლის დარბაზში, მ. თუმანიშვილის თაოსნობით, გაიმართა **წარმოდგენა**. წარმოდგენილი იყო: „ხანუმა“ კომ. ცაგარლისა და „ადვოკატი მელაძე“ კომ. მაჩაბლისა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, ხალხი ბლომად დაესწრო და ძალიან ნასიამოვნები დარჩა.

◆ 29 დეკემბერს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში „ივერიის“ სიტყვით, მოხდა პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენის ქართულ კომიტეტის მიერ მოწვეულ საპატიო კაცთა **კრება გამოფენის შესახებ მოსალაპარაკებლად**. სხდომის დაწყების დროს კომიტეტის თავმჯდომარემ თავ. ლ. ჯანდიერმა წარუდგინა კრებას კომიტეტის მოქმედების ანგარიში და განაცხადა, რომ თუმცა კომიტეტმა ყოველი ღონისძიება იხმარა ექსპონატების მოსაგროვებლად, რისთვისაც კერძო წერილებიც დაუგზავნა ქართველ მემამულეთ, მაგრამ ამ მხრივ სურვილს ვერ მიახწია, რადგან მხოლოდ ორიოდე მემამულესაგან მიიღო რამდენიმე ნაწარმოებიო; რაც შეეხება გამოფენის სალიტერატურო ნაწილს, ამ მხრივ კომიტეტის მოქმედება უფრო ნაყოფიერი გამოდგა, რადგან ის კაცები, რომელთაც კომიტეტმა თხზულებათა დაწერა მიანდო, წერილებით დაჰპირდნენ კომიტეტს თავის დროზე თავიანთის ნაწარმოების წარმოდგენასაო. შემდეგ ბ-ნმა თავმჯდომარემ გააცნო კრებას კომიტეტის ნივთიერი საშუალების ვითარება და განაცხადა: კომიტეტს შეუდგა სულ 3668 მანეთამდე თანხა, აქედან 500 მან. (წერილების და რეკლამების დასაბეჭდავად და სხ.) უკვე დაეხარჯა და ამ სახით ამ ჟამად ხელთ აქვს 3,168 მან. ხოლო რადგან ასეთის უმნიშვნელო ფულით ყოვლად შეუძლებელია კომიტეტმა თვისი დანიშნულება შეასრულოს, ამის გამო საჭიროა კრებამ ნივთიერის ღონისძიების გამოძებნისთვის იზრუნოსო. თავმჯდომარის აზრით, ეს ღონისძიება სულ მცირე 10,000 მანეთს უნდა უდრიდეს.

კრებამ დაადგინა: ნივთიერ საშვალების გასაძლიერებლად გაიმართოს ხელის მოწერით ფულის მოგროვება, მაგრამ რადგან გამოფენაზე ექსპონატების გაგზავნის ვადამდე, 10 იანერამდე, ცოტა დროლა დარჩენილა, ამის გამო უკვე არსებულ ფულით ახლავე დაქირავებულ იქმნას კაცი ექსპონატების მოსაგროვებლადაო.

◆ კავკასიის **ექიმთა საზოგადოების** წევრთა მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 3 იანვარს.

# თეატრი

**ქართული წარმოდგენა**. ხუთშაბათს, 30 დეკემბერს, ქართული თეატრი გავსებული იყო ხალხით. ბ-ნმა ყიფიანმა თავის ბენეფისში დადგა გუნის დრამა „და-ძმა“. თუმცა ეს დრამა ხელოვნების მხრით სუსტია, მაგრამ არტისტების ხელოვნებამ პიესის ნაკლულევანებანი სრულიად დაჰფარა და დრამამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ბენეფიციანტი ოტია ჯოლიას როლში შეუდარებელი იყო. მკაცრი, პატივისა და დიდების მოყვარეობით მეტად შეპყრობილი ოტია, რომელიც თავისუფლად სწირავს თავის დედ-მამას, დას მამას, თვით საყვარელს არსებას, ოღონდ მიახწიოს თავის ეგოისტურს მიზანს, ოტია, რომელიც თავის დიდებას ხალხის დიდებას და ბედნიერებას ანაცვლებს, რომელიც სამშობლოს უღალატებს, ოღონდ კი სამეგრელოს მთავარი გახდეს,—ეს ოტია ცხადად გვიდგა თვალ წინ და თავისი ბოროტი თვალებით და მოღუშულ წარბებით, მოღუშულს მაშინაც, როდესაც ის მარინეს ესიყვარულება, კარგად გვიხატავდა საშუალო საუკუნოების რკინის გულისა და ხასიათის პატრონთ. ამისთანა კაცებისათვის რა იყო ხალხი, ბრბო, რომელსაც მათ დიდებისათვის უნდა ემსხვერპლათ სიცოცხლე,, რომელსაც არც თავის აზრი, არც თავისი გრძნობა არ უნდა ჰქონოდა, და ბატონისათვის, მის თუ გინდ გიჟურ ლტოლვილებისათვის უნდა ხმა ამოუღებლივ მომკვდარიყო!!. მეტად შეგნებულად, ცოცხლად და ხელოვნურად შეასრულა ბ-მა ყიფიანმა თავისი როლი და ბევრი ტაშის ცემა და რამოდენიმე საჩუქარიც (მეტად მცირე არტისტის ნიჭთან შედარებით) მილო მან ჯილდოდ.

მაგრამ როგორც ფრანცუზები იტყვიან, წარმოდგენის „clou“ ბ-ნი ყიფიანი კი არ იყო, არამედ ბ. ვ. ალექსი-მესხიშვილი. ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა საყვარელი არტისტი სცენაზე. ეს აღტაცება წამიდან წამზე მატულობდა; ყოველი სიტყვა არტისტის ღრმა გრძნობით გამსჭვალული, ყოველი მისი ხელის განძრევა, ყოველი ჟესტი მაყურებლის გულის სიღრმემდე აღელვებდა; ეტყობა ალექსი-მესხიშვილს მელპომენამ უძღვნა ეს საოცარი ნიჭი გულის აღელვებისა და გულის გატაცებისა, ვინც გინდა იყოს მაყურებელი — კაცი გინდ ქალი, მოხუცი გინდა ახალგაზრდა, დიდი თუ პატარა — ყველანი მისი ნიჭის ძალას ემორჩილებიან, ყველას გული უცემს უფრო ჩქარა და თვალს ვერ აშორებს საყვარელს არტისტს. მშვენიერი იყო ის მარინეს რომ საყვედურს ეუბნებოდა, მშვენიერი — როდესაც თავისი მტერი მძინარე და უმწეო დაინახა, როცა მარინეს გასაღების მოპარვას აძალებდა, მაგრამ მისი საუკეთესო სცენები — უხმო სცენებია, როცა ის არას ლაპარაკობს, მაგრამ მისი სახე, მისი თვალები უფრო მეტს ეუბნებიან მაყურებელს, ვიდრე ბევრ სხვა არტისტის პატეტიური სიტყვები. ქ-ნი კარგარეთელი, როგორც წინადაც ვსთქვით, დრამატიულ როლებისათვის გვარიანი არტისტი ქალია, მაგრამ უნდა ვუსაყვედუროდ როლის ცოტად სუსტი ცოდნა და ამას გარდა ის, რომ ქ-ნი კარგარეთლისა ყოველ თავის ფრაზას როგორღაც ცალკე ამბობს, არ აკავშირებს მას მეორე მიმდევარს ფრაზასთან და ყოველ ფრაზაში ერთნაირად ამაღლებს ხმას; ამის გამო მის თამაშს ბუნებრივობა აკლია და სინამდვილის ილლიუზია სრულებით ეკარგება. ქ-ნ კარგარეთელს გარეგნობაც და ხმაც კარგი აქვს, ნიჭითაც არის დაჯილდოვებული და სწორედ ამიტომ იგი უნდა სერიოზულათ დააკვირდეს თავის თამაშს, მეტადრე დიქციას.

ბ. გედევანოვი ძალიან კარგი იყო ფაშის როლში. ქ-ნმა ჩერქეზიშვილმა კარგათ აასრულა გადიას როლი და ბ-ნმა შათირიშვილმა ჩვეულებრივის ხელოვნებით და სიცოცხლით აასრულა თავისი პატარა როლი გიორგი ადამიასი. ქუჩუ ადამიას როლის მოთამაშეს ცოტა არ იყოს ეტყობოდა, რომ სცენას ჯერ კარგათ ვერ შეჩვევია და ბუნებრივობა აკლდა; ის მოგვაგონებდა კარგ მოსწავლეს, რომელიც კლასში გაკვეთილს ეუბნება მასწავლებელს. ანსამბლი მაინც კარგათ დაცული იყო, და ერთობ კარგათ ჩაიარა ამ წარმოდგენამ.

ნარ-ზენ.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

## 30 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ცარსკოე სელოს სასახლეში ინახულეს ყოვლად უსამღვდელოესი ანტონი, მიტროპოლიტი პეტერბურგისა.

**შტეტინი.** ნადიმზე, გემის „გერმანიის“ კურთხევის შემდეგ, გარეშე საქმეთა მინისტრმა ბიულოვმა წარმოსთქვა სიტყვა. მან სთქვა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის თანანდებობასთან ერთად მან იკისრა მოვალეობა აწარმოოს გარეშე პოლიტიკა ისე, როგორც აღნიშნა ჩვენის დროის უდიდესმა პოლიტიკოსმა — თავად ბისმარკმა, სახელდობრ პოლიტიკა მშვიდობიანის, თავდაჭერილის და მტკიცე წარმატებისა, რომლის მეოხებით გერმანიამ მოიპოვა ნდობა სხვა სახელმწიფოთა და შეიქმნა მაგარ საძირკვლად ევროპისა და მსოფლიო მშვიდობიანობისა. თუმცა შინაურ პოლიტიკაში არსებობს აზრთა სხვა და სხვაობა, მაგრამ გარეშე პოლიტიკის მიზნისა და საშუალებათა შესახებ არ არის თითქმის არავითარი უთანხმოება. ერის ამგვარი ერთობა თავდებია მისის ბრწყინვალე მომავალისა. მინისტრი დარწმუნებულია, რომ ერის უმრავლესობა თანაუგრძნობს მას. „ჩვენ, განაგრძო ბიულოვმა, მტკიცედ გვრწამს, რომ გერმანიის ერის წარმომადგენელთ კარგად ესმით მსოფლიო საქმეთა მდგომარეობა, ჩვენი საჭიროებანი და აგრეთვე ჩვენი საშიში მდგომარეობა და ამიტომ მისცემენ მთავრობას ნებას გააძლიეროს თავისი საზღვაო ძალები.“ ბიულოვის სიტყვა მრავარის ტაშის ცემით იყო დაჯილდოვებული. შემდეგ ბიულოვმა სადღეგრძელო დალია ჰამბურგ-გერმანიის საზოგადოებისა.

იმპერატორი კილს წავიდა.

**ვაშინგტონი.** გელმა შეიტანა სენატში რეზოლიუცია, რომლით მთავრობას უნდა ეკითხოს, რა ზომები მიიღო მან იმის გამო, რომ ინგლისელებმა ამერიკელი გემები დაიჭირეს დელაგოაში. რეზოლიუციაში ნათქვამია შემდეგ, რომ კერძო საკუთრება უკანონოდ იქმნა დაჭერილიო. სენატორმა პლატმა წინააღმდეგობა გაუწია რეზოლიუციის მეორე ნაწილს. გელმა უპასუხა, საჭიროთ, შევატყობინოთ ინგლისს, რას ჰფიქრობს ამერიკის ერიო. შემდეგ რევოლიუციის წინააღმდეგ ილაპარაკა ლოჯმა. რეზოლიუცია უარყოფილ იქმნა,

**კაპშტადტი.** ფელდმარშალი რობერტსი და ლორდი კიჩენერი დღეს მოვიდნენ აქ.

**ბერლინი.** (საგანგებო) ლონდონიდან ატყობინებენ „ლოკალ“ ანცაიგერს“, რომ სამხედრო სამინისტრო იწვევს მილიციის ყველა ჯარებს, ომში წასვლის მსურველთ, ყველა საგანგებო კორპუსებს და საომარ ფეხზე აყენებს სამეფოს მთელს მხედრობას. 50,000 კაცი გაგზავნილ იქმნება სამხრეთ-აფრიკაში, ხოლო დანარჩენი დატოვებულ იქმნებიან თვით ინგლისში, რადგან შესაძლებელია ქვეყანას საშიში რამ შეემთხვას. როგორც ჰფიქრობენ, ყოველივე ეს ნავთ-სადგურ ვით დელაგოას დაპყრობის განზრახვით არის გამოწვეული.

**ხარკოვი.** ენვილოვის ქალის მოსამსახურე ანნა ოსტაპენკო, 16 წლისა, რომელზედაც გუმანი აქვთ, რომ იმან დაახრჩოვო თავისი ქალ-ბატონი, დაპატიმრებულ იქმნა.

**მოსკოვი.** ხვალ იწყება კრება ფარმაცევტებისაა; მოდიან წარმომადგენლები; საპატიო წევრთა გარდა მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადა 300 კაცმა. დანიშნულია ოთხი სხდომა, რომელზედაც უნდა განიხილონ, როგორ მოეწყოს სამსახური აფთიაქებში ღამღამობით და როგორ იქმნას აცილებული გავრცელება გადამდებ სენისა რეცეპტებისაგან.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** გემების პატრონები და მექარხნეები შუამდგომლობენ, რომ დაუყონებლივ გაიაფებულ იქმნას ნავთი. ისინი ამბობენ, რომ ნავთის წარმოება ხელთ იგდეს დიდმა კაპიტალისტებმა, რომლებმაც განგებ გააძვირეს ნავთიო. ამ ექვსი წლის წინად ბაქოში ერთი ფუთი ნავთი ღირდა 7 კ., ეხლა გახდეს 17 კ., ამ რიგად მხმარებელნი მეტს იხდიან 27,000,000 მან: მწარმოებელნი შუამდგომლობენ საზღვარგარეთ გასატან ნავთზედ აქციზი იქმნას დაწესებულიო. ეს წესი გააიაფებს ნავთს და ხაზინა მიიღებს 40 მილ. შემოსავალს. ამ ნაირად მოისპობა ის შეუსაბამო გარემოება, რომ რუსეთის ნავთი თვით რუსეთში ფუთი ღირს 1 მ. 50 კ., ლონდონში კი 80 კ.

**ლონდონი.** ბალფურმა მანჩესტერის ამომრჩეველთა წლიურს კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ცილის წამებად და სიცრუეთ აღიარა ის აზრი, ვითომც ინგლისი სამხრეთ-აფრიკის საქმეებში ხელმძღვანელობდა სურვილით [illegible] ქვეყნები. დიდი ბრიტანია ვერაფერს მოიგებს ომით, რომელიც მხოლოდ დიდძალს ხარჯს გამოიწვევს; მაგრამ ყველა ხარჯზე უდიდესია ადამიანის სიცოცხლე, რომელსაც ვერავითარის ფულით ვერ იყიდი. ორატორი დარწმუნებულია, რომ ერთის წლის შემდეგ ამავე კრებაზე ის ილაპარაკებს გამარჯვებისა და სამხრეთ-აფრიკაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ.

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლით, ვაჟიშვილებით და ქალიშვილებით ცარსკოე სელოდან პეტერბურგს გადავიდა საცხოვრებლად.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგენტო“ აცხადებს, რომ არაფერი არ იცის „ლოკალანცაიგერის“ ცნობის შესახებ, თუ რა ზომები იქმნა მიღებული სამხედრო სამინისტროს მიერ.

ოფიციალური დეპეშა ბულლერისა ფრერიდან გამოგზავნილი ამბობს: ტრანსვაალიდან მოსული დეპეშა იტყობინება, ვითომ ბურებს 25 დეკემბერს ლედისმიტთან მომხდარ ბრძოლაში მოუკლეს 4 კაცი და დაუჭრეს 15, მაშინ როდესაც თვით ბურები არ ჰფარავენ, რომ საშინლად დამარცხებული იყვნენ; მკვიდრნი ამბობენ, რომ ბურების მხოლოდ ერთმა რაზმმა დაჰკარგა 150 კაცი. ყველაზედ უფრო დაზარალდნენ ორანჟეს რესპუბლიკის ბურები.

**პარიზი.** საფრანგეთის ბანკმა დასწია დისკონტი 6 პროცენტიდან ექვსამდე.

**ლონდონი.** „სტანდარტ“-ის კორესპონდენტი იუწყება დურბანიდან, რომ 1200 ინდოეთელი მუშა წავიდა აქედან ორშაბათს ბრძოლის ველისკენ, სადაც მათ მიენდობა ავადმყოფთა საავადმყოფოებში წაყვანა. ეს გარემოება, როგორც ჰფიქრობენ, იმის ნიშანია, რომ ბულლერი წინ წაწევას აპირებს.

„დეილი მეილ“-ი იტყობინება: სამწუხაროდ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მეტუენის ჯან-მრთელობა სრულიად შეირყა.

„დეილი ტელეგ.“-ს ატყობინებენ ფრერიდან, რომ ლედი-სმიტის გარშემო ბურების მხრიდან ზარბაზნების სროლა დაიწყეს.

„სტანდარდ“-ის კორესპონდენტი იტყობინება შემდეგს: „მე სარწმუნო წყაროდან შევიტყე, რომ პრეზიდენტი კრიუგერი ბურების სარდლებს დაეკითხა, რატომ ამდენ ხანს არ მიიტანეთ იერიში ლედი-სმიტზეო. კრიუგერს უპასუხეს: „ჩვენ დავკარგავდით

ბევრ ჯარსო“. კრიუგერმა ამაზე შეჰნიშნა, რომ ამგვარი თავის მართლება ორანჟეს რესპუბლიკის ბურების საქმე იქმნებაო და ამიტომ ისინი ბრძოლის დროს წინ დააყენეთო. ეს ბრძანება აღსრულებული იყო. კრიუგერის რჩევა მით იყო კარგი, რომ მოკავშირეთა ჯარებს უკეთ ეჭირათ თავი, ვიდრე ტრანსვაალის ბურებს: ორანჟეს ბურებმა ერთი გორაკი დაიჭირეს, ტრანსვაალის ბურებმა კი უკან დაიწიეს.

**ლონდონი.** პარლამენტი შეიკრიბება, ალბად, 18 იანვარს.

**ბრიუსელი.** მატარებელი „პეტერბურგ ორტენდე-ლონდონ“-ის გზისა ბრიუსელის სადგურზე რელსებს გადასცილდა. ლოკომოტოვი და ბაგაჟის ვაგონი გადავარდნენ. სამი მგზავრი დაჭრილია.

**რენსბურგი.** სუფფოლკის რაზმის დამარცხების შემდეგ ინგლისელებს ბრძოლა არ დაუწყიათ; ჯარები ისევ თავის პოზიციებზე დგანან. ბურები თვალ-ყურს ადევნებენ ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას.

**მოდდერ-რივერი.** უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ ბურები დუგლასში არ შესულან. აქ არტილერიის სროლაა ატეხილი.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაციის კომისიამ მიიღო ხარჯი ბოსნიასა დ ჰერცოგოვინას ოკუპაციისთვის. კამათის დროს კალაიმ სთქვა, რომ ავტონომიური საეკკლესიო წესდება, რომელიც ბოსნიის და ჰერცოგოვინის მართლმადიდებელთა ოპპოზიციამ შეიმუშავა, ყოველს ღირსებას მოკლებულიაო. მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას არ სურს მართლ-მადიდებლებთან ბრძოლა დაიწყოს; ის ვალდებულია დაიცვას ყველა სარწმუნოებათა დაწესებულებანი და ერთნაირად მოექცეს ყველა სარწმუნოების მიმდევართ.

დრ. რედაქტ. **ალ. ჭყონია.**

## გამოსადეგი ცნობანი

### საკალენდარო ცნობები

**შაბათი,** 1900 წლის 1 იანვარი; ახალი სტილით—13 იანვარი. მთვარის მე-13 დღე. ახალი წელიწადი. წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა; ხსენება წმ. ვასილი დიდისა.

**კვირა,** 2 იანვარი; ახალი სტილით —14 იანვარი. მთვარის მე-14 დღე. ხსენება წმ. სილიბისტროსი, რომის პაპისა.

შემდეგი უქმე: ხუთშაბათს, 6 იანვარს—ნათლისღება.

### ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | | —7½ კ. |
| სუკი . . . . | 1 „ | | —12 კ. |
| „ ცხვრისა . . | „ „ | | — 8 კ. |
| „ კამეჩისა . . | „ „ | | — 5 კ. |
| „ ღორისა . . | „ „ | | — 5 კ. |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. . | 1 „ | | — 9 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 „ კ. |
| „ „ | II | „ „ | 3½ |
| „ „ | III | „ „ | 3 „ |
| იგივე თორნისა | I | „ „ | 5 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |
| „ „ | III | „ „ | 3½ „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |

---

### ტფილისის ბაზრები

| გაიყიდა: | | მეიდნებზე | | ვოკზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 75 | — | 86 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უკრო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ., შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი 3 თათრული 80 კ.-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 26 მ.-დამ 36 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, —მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 35 კამეჩი შესაბმელი —

---

### რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 „ | 25 „ |
| № 1—8 „ | 50 „ | № 5—7 „ | — „ |
| № 2—8 „ | — „ | № 6—6 „ | 75 „ |
| № 3—7 „ | 50 „ | № 7—6 „ | 25 „ |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 კ. 46 კ. ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.
მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.— 11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60-მდე.

---

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში - 60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის,** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის სა ავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჟომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჟომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჟომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ.. საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ., 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,


## განცხადებანი

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის, მარგანეცის მწარმოებელთა კრების საბჭო ამით საყოველთაოდ აცხადებს,

რომ მის სადგომში, ქ. ქუთაისს, 1900 წლის 15 იანვარს, შაბათს, დღის 12 საათზე, მოხდება ვაჭრობა იჯარით გაცემისა—ჭიათურაში მდ. ყვირილაზე ხის ხიდის გაკეთებისა და შორაპნის მარგანეცის სამრეწველო ადგილებში გზების შეკეთებისა. ვისაც ჰსურს დაწვრილებით გაიგოს ხარჯთ-აღრიცხვისა და ფასების შესახები ცნობები შეუძლიან ყოველ დღე იხილოს ისინი საბჭოს სადგომში. ნ. 3—1

ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის კასსაში, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ნებართვით, მიიღება შეწირულება ტფილისის ღარიბეს მცხოვრებთა სასარგებლოთ, რათა დაერიგოს შეშა, ნახშირი, უფასო სადილები და აგრეთვე ფული. შეწირულება მიიღები ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე. შეწირულება შეიძლება აგრეთვე გადაეცეს პირადათ საბჭოს ხმოსანთაგან შემდგარს აღმასრულებელ კომისიის წევრთ—ე. მ. აკოფოვს, მ. ნ. ვესელოვზოროვს, ი. ა. სულხანიშვილს, ა. გ. ირიცპუხოვს, ა. ს. ბალდასაროვს და ი. ს. ბუდდანოვს და თავმჯდომარეს ხსენებულის კომისიისას გამგეობის წევრს თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს. ნ. 3—1

სალდათის ბაზრიდან ჩემი **აზიური სახელოსნო** გადამაქვს სომხის ბაზარში, ჯიგრაშენის ეკლესიის გვერდზე. კოსტა გრიგორის მე გოქამე. 4—2.


გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Декабря, 1899 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ისა. ვანქის დიდ ქუჩა, № 27